



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №140/18-2

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, მოსამართლე --- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი გახდა --- 2018 წლის 18 მაისის --- საჩივარი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი იღებს, თუ მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი, --- სადავოს ხდის სასამართლოს იმ გადაწყვეტილების (2010-2011 გადაწყვეტილებების) კანონიერებას, რომლის მიღებიდანაც გასულია 5 წელი. ამასთან, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია

მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (დადგენილებების) კანონიერების შეფასება.

გამომდინარე იქიდან, რომ საჩივარში მითითებული გარემოებების მიმართ გასულია კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლითა და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №140/18-2, მოსამართლე --- მიმართ, შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**